უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 0 21 000549082

09/06/2021

შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრისთვის ავტორიზაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლი დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნტის, 2^2 პუნქტის, მე-14 მუხლის, მე-16 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 56^4 მუ ხლის , საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბერის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 77-ე მუხლის პირელი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის მე-8 პუნქტის, 83-ე მუხლის, 103-ე მუხლის საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის (ს/კ: 245539403) უარი ეთქვას ავტორიზაციის მინიჭებაზე.
2. შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის შუამდგომლობისა და სტუდენტების კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის უწყვეტობის მიზნით, სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი - 2021 წლის 27 მაისიდან 2021 წლის 31 ივლისამდე დაასრულონ შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრიში.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 09 ივნისის №549059 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის შესახებ ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 25 მაისიდან.

5. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ორჯონიკიძე ზურაბ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით



დანართი№1

#	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი[1]	პროგრამის განხორციელების ადგილი
1	საზღვაო ნავიგაცია	ქართული,	საზღვაო მეცნიერების ბაკალავრი (1041)	240	აკრედიტებული	N76 29.12.2017	ბათუმი, შ. ინასარიძის №29
2	გემის მექანიკა	ქართული	ინჟინერიის ბაკალავრი საზღვაო ინჟნერიაში (0716)	240	აკრედიტებული	N75; 29.12.2017	ბათუმი, შ. ინასარიძის №29